



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 294

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2016 წელი

წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან)
დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან გადმოგზავნილი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის 2016 წლის 27 ივლისის რეკომენდაციის გათვალისწინებით:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ 2016 წლის 8 ოქტომბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების ფარგლებში სააგიტაციო მასალების განთავსების საკითხებზე გამოცემულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 13 ივნისის N1975 ბრძანება „ქალაქ ქუთაისში, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის საარჩევნო ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების /პლაკატების/ გასაკრავი ადგილების გამოყოფისა და იმ შენობა – ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია /აგიტაცია/“

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი